



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N3 დაწესებულების საგანგებო მონიტორინგის ვიზიტის
შემდგომი ანგარიში

(2020 წლის 12-13 ივლისი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

სარჩევი

1. შესავალი.....	2
2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.....	2
2.1 განსაკუთრებული პირობების შემოღება.....	2
2.2 ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.....	3
3. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება	4
3.1 დეესკალაციის ოთახში მოთავსება, როგორც არასათანადო მოპყრობა	5
3.2 მსჯავრდებულთა იზოლაცია	9
3.3 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში არსებული რეჟიმი და შეზღუდვები, როგორც არასათანადო მოპყრობა	10
4. პატიმრობის პირობები.....	12
4.1 ფიზიკური გარემო	12
4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები.....	13
5. სამედიცინო მომსახურება.....	14

1. შესავალი

2020 წლის 12-13 ივლისს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა N3 პენიტენციურ დაწესებულებაში საგანგებო მონიტორინგის ვიზიტი განახორციელეს. ვიზიტი მიზნად ისახავდა დაწესებულებაში კორონავირუსის პრევენციის მიზნით მიღებული ეპიდემიოლოგიური ზომების დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებებზე გავლენის შეფასებას, ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2019 წლის 16-17 სექტემბერს N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმებას. ვიზიტის დროისთვის დაწესებულებაში მოთავსებული იყო 51 მსჯავრდებული და 2 ბრალდებული.

ვიზიტის მეთოდოლოგია მოიცავდა დაწესებულების დათვალიერებას, დოკუმენტაციის შემოწმებასა და გასაუბრებას, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ასევე პატიმრებთან. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მონიტორინგის ვიზიტების განხორციელებამდე, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მოახდინა სამუშაო მეთოდოლოგიის არსებულ გამოწვევებთან ადაპტირება. განისაზღვრა პანდემიის პირობებში უსაფრთხო მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების წესები და წევრებს მიეცათ შესაბამისი მითითებები. შეძენილ იქნა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და წევრებს განემარტათ მათი გამოყენების წესები. ამ ზომების მიღების მიზანია მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების დროს ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკის მინიმუმაცა, თანამშრომლებისა და დაწესებულებაში მყოფი პირების დაცვა. აღსანიშნავია, რომ N3 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები ხელს უწყობდნენ მონიტორინგის ჯგუფს საქმიანობის უსაფრთხოდ და გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე განხორციელებაში.

მონიტორინგის ვიზიტების შეზღუდული ხასიათიდან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშს არ გააჩნია ყველა საკითხის სრულყოფილად წარმოდგენის პრეტენზია. წინამდებარე ანგარიშში რომელიმე საკითხის არასახვა, არ მიუთითებს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის მხრიდან საკითხისადმი დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებაზე.

2. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

2.1 განსაკუთრებული პირობების შემოღება

განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში¹ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ „პატიმრობის კოდექსით“ განსაზღვრული, საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე

¹პენიტენციურ დაწესებულებებში განსაკუთრებული პირობების შემოღების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2020 წლის 5 მარტის N4109 ბრძანება.

გასვლის, აგრეთვე განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ასევე განისაზღვრა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ახალშემოსული ბრალდებული/მსჯავრდებული განთავსებულ იქნეს სხვა ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით. ამასთან, დაწესებულებაში ამანათების მიღების პროცესი დროებით შეჩერდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის N3 დაწესებულებაში ვიზიტის დროს მოხსნილი იყო ამანათებზე დაწესებული შეზღუდვა, ხოლო ხანმოკლე პაემნების განხორციელება აღდგენილი იყო მინის ბარიერის პირობებში.

2.2 ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულებაში ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას. დაწესებულებისა და სამედიცინო ნაწილის შესასვლელები აღჭურვილია დეზობარიერებით. დაწესებულების შესასვლელში კი მოწყობილია სადეზინფექციო კორიდორი. დაწესებულებაში შემოსულ პირებს უტარდებათ თერმოსკრინინგი. თანამშრომლები აღჭურვილნი არიან დამცავი პირბადეებით, რეზინის ხელთათმანებითა და სახის დამცავი ფარით. დაწესებულების მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, მათ ჩაუტარდათ ტრენინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ახალი კორონავირუსის ანტიგენზე სწრაფი ტესტის ჩატარება, ასევე PCR-ისთვის მასალის აღება. სამედიცინო პერსონალს კვირაში ერთხელ უტარდება PCR გამოკვლევა COVID-19-ზე. მას შემდეგ რაც N19 დაწესებულების ბაზაზე მოეწყო საკარანტინე სივრცე 24 საათზე მეტი ხნით სამოქალაქო სექტორის დაწესებულებაში გადაყვანილი პაციენტები პირდაპირ დაწესებულებაში არ ბრუნდებიან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ექიმის რეკომენდაციით მგზავრობა არა არის რეკომენდირებული. ასეთ შემთხვევაში პაციენტი ბრუნდება დაწესებულების სამედიცინო ნაწილში და მასზე მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ თანამშრომელთა თავდადება, რომლებსაც ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დახურული დაწესებულებები არ დაუტოვებიათ და სრული იზოლაციის პირობებში აგრძელებდნენ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. 2020 წლის 29 მარტიდან დაწესებულების 40 თანამშრომელი გადაყვანილი იყო ყაზარმულ რეჟიმზე, რა დროსაც მათ ყოველ მეორე დღეს უწევდათ 24 საათიანი მორიგეობა. თანამშრომლებს არ ჰქონდათ დაწესებულების დატოვების შესაძლებლობა. ივნისის შუა რიცხვებიდან ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი თანამშრომლები გადავიდნენ 2 კვირიან სამუშაო გრაფიკზე, რითაც ორ კვირიანი მუშაობის შემდეგ მათ ეძლევათ 2 კვირიანი დასვენებისა და გარეთ გასვლის შესაძლებლობა. ამასთანავე, დაწესებულებაში შემოსვლამდე თანამშრომლები გადიან PCR გამოკვლევას COVID-19-ზე.

რაც შეეხება დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს, მათი ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არანაირი ზეპირი ან წერილობითი ინფორმაცია არ გადასცემიათ. ისინი ზოგად ინფორმაციას იღებენ ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით.

3. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს ვიზიტის დროს არ მიუღია ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შესახებ.

N3 დაწესებულებიდან მაღალია პატიმართა მომართვიანობა სახალხო დამცველის პარატში. 2020 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, N3 დაწესებულებიდან შემოსულია 290 განცხადება, რაც სხვა დაწესებულებებთან შედარებით საშუალოდ ერთ პატიმარზე შემოსული ყველაზე მეტი განცხადებაა.² შემოსული განცხადებებიდან ორ შემთხვევაში მსჯავრდებული მიუთითებდა ფიზიკურ ძალადობაზე, რაზეც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მიმდინარეობს გამოძიება. აპარატში შემოსულ 10 განცხადებაში საუბარია ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. პატიმრები ფსიქოლოგიურ ძალადობად აღიქვამენ განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში არსებულ მკაცრ რეჟიმსა და შეზღუდვებს, უსამართლოდ დაკისრებულ დისციპლინურ სახდელებს, უსაფუძვლოდ დეესკალაციის ოთახში გადაყვანას, თანამშრომლის მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფასა და მათ პროვოცირებას.

დაწესებულებაში არსებულ გამოწვევებზე მიუთითებს ტელეფონოგრამებში არსებული ჩანაწერები³. რამდენიმე შემთხვევაში პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების მიზეზად მითითებულია ადმინისტრაციის მიმართ პროტესტი. ერთ-ერთი პატიმარი თვითდაზიანების მიყენების მიზეზად მისი კუთვნილი ვახშმის ულუფის მიუწოდებლობას ასახელებდა. რამდენიმე პატიმარმა სრული შიმშილობა გამოაცხადა იმ მოტივით, რომ მათი განცხადებით, მათ მიმართ ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და არასათანადო მოპყრობას. დაწესებულებაში ასევე ადგილი აქვს პატიმრების მხრიდან თანამშრომლების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. მაგალითად, უსაფრთხოების მიზნით დეესკალაციის ოთახში მოთავსებულმა ერთ-ერთმა პატიმარმა უარი განაცხადა ექიმის მიღებაზე და გამოსვლილას მოულოდნელად ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა უსაფრთხოების ინსპექტორს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში სისტემატიურად მიმდინარეობდეს თითოეული ინციდენტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი პრევენციის კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

²2020 წლის იანვრიდან 15 სექტემბრის ჩათვლით: N3 დაწესებულებიდან შემოვიდა 290 განცხადება (პატიმართა საშუალო რაოდენობაა - 53); N2 დაწესებულებიდან შემოვიდა 288 განცხადება (პატიმართა საშუალო რაოდენობა 1023); N8 დაწესებულებიდან შემოვიდა 298 განცხადება (პატიმართა საშუალო რაოდენობა 2683) ინფორმაცია პატიმრების რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://www.geostat.ge/>

³ 2020 წლის იანვრიდან 13 ივლისის ჩათვლით N3 დაწესებულების მიერ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გაგზავნილი ტელეფონოგრამები.

3.1 დეესკალაციის ოთახში მოთავსება, როგორც არასათანადო მოპყრობა

2020 წლის პირველი ექვსი თვის⁴ განმავლობაში დეესკალაციის ოთახის გამოყენების რაოდენობა ორჯერაა გაზრდილი 2019 წლის ბოლო ექვს თვესთან⁵ შედარებით. სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, ისევ აქვს ადგილი პატიმრების დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივ, არამიზნობრივ და დასჯის მიზნით მოთავსებას, რაც სახალხო დამცველის შეფასებით უტოდლება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას⁶.

დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი დროით მოთავსება

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ 2018 წელს საქართველოსთვის გაცემულ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ დეესკალაციის ოთახში პირის მოთავსების მაქსიმალური დრო არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს 24 საათზე მეტი.⁷ დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებაზე წლებია, რაც საუბრობს სახალხო დამცველი. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანის ვადად კვლავ 72 საათია განსაზღვრული. ამასთანავე, არ არის შეზღუდული დეესკალაციის ოთახში განთავსების რაოდენობა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ N3 დაწესებულებაში პატიმრების დეესკალაციის ოთახში გადაყვანა უმეტეს შემთხვევაში ხდება მაქსიმალური ვადით (72 საათით). ამასთანავე, ადგილი აქვს დეესკალაციის ოთახში ერთი და იგივე პირის ფაქტობრივად უწყვეტ მოთავსებას რამდენიმე დღის განმავლობაში⁸, წუთებისა და საათების ინტერვალებით. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყვანისა და შეყვანის დროს ერთი და იგივეა, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ პატიმრის გამოყვანა ხდება ფორმალურად მისი საკანში ხელახალი დაბრუნების მიზნით. ასე, მაგალითად:

შეყვანა	გამოყვანა		შეყვანა	გამოყვანა
20.04.20 -13:26 სთ	20.04.20 – 16:37 სთ		13.06.20 – 15:29 სთ	16.06.20 – 15:18 სთ
20.04.20 – 16:37სთ	20.04.20- 17:11სთ		16.06.20 – 15:18 სთ	16.06.20 -18:35 სთ

⁴ 2020 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში დეესკალაციის ოთახი გამოიყენეს 113 შემთხვევაში.

⁵ 2019 წლის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დეესკალაციის ოთახი გამოიყენეს 56 შემთხვევაში.

⁶ პრევენციის ეროვნული მექანიზმი N3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 6, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020032321170591389.pdf> [ბოლოს ნანახია:24.08.20].

⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2018 წლის 10-21 სექტემბრის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარ. 94, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 03.11.2020].

⁸ ერთ შემთხვევაში პატიმარი 2020 წლის თებერვლიდან - ივნისის ჩათვლით პერიოდში დეესკალაციის ოთახში გადაყვანილ იქნა 27-ჯერ, საიდანაც აღნიშნული პატიმარი 4 შემთხვევაში დეესკალაციის ოთახში ფაქტობრივად უწყვეტად წუთებისა და საათების ინტერვალებით მოთავსებული იყო 9, 7, 6 და 4 დღის განმავლობაში.

20.04.20 – 17:11სთ	21.04.20 – 04:35 სთ		16.06.20 – 18:35 სთ	18.06.20 – 01:49 სთ
21.04.20 – 04:35 სთ	22.04.20 – 20:34 სთ		18.06.20 – 01:48 სთ	19.06.20 – 11:30 სთ
22.04.20 – 20:34 სთ	23.04.20 – 07:05 სთ		სულ:	7 დღე
23.04.20 – 07:05 სთ	23.04.20 – 07:44 სთ			
24.04.20 12:07 სთ	24.04.20 18:27 სთ			
25.04.20 19:35 სთ	25.04.20 23:15სთ			
25.04.20 23:15 სთ	26.04.20 11:01 სთ			
26.04.20 11:01 სთ	28.04.20 19:10 სთ			
სულ:	9 დღე			

დეესკალაციის ოთახის არამიზნობრივი გამოყენება

დეესკალაციის ოთახში პაციმრის მოთავსება კვლავინდებურად არ ემსახურება პაციმრის მიერ საკუთარი თავის დაზიანების თავიდან აცილების მიზანს. კერძოდ, დეესკალაციის ოთახები არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი⁹ და ამ ოთახებში არსებული პაციმრობის პირობები ხშირად, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციმრების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაუარესების მიზეზიც ხდება.¹⁰ დეესკალაციის ოთახში მოთავსებამდე ან მოთავსების პარალელურად არ ხდება მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა, კრიზისის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით. დაწესებულების თანამშრომლები არ არიან გადამზადებულნი კრიზისული შემთხვევის არაძალისმიერი მეთოდებით მართვის უნარებსა და დეესკალაციის¹¹ მეთოდებში.

დაწესებულებაში ფსიქო-სოციალური მხარდაჭერი სერვისების და სიტუაციის მართვის სხვა რესურსის არარსებობის გამო, ადმინისტრაცია დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივი დროით ათავსებს პაციმარს, რომელსაც აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებობს სხვისი ან საკუთარი თავის დაზიანების რისკი. სახალხო დამცველი/სპეციალური პრევენციული ჯგუფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ

⁹ N3 დეესკალაციის ოთახი წარმოადგენს სტანდარტულ ცარიელ საკანს ბეტონის იატაკით და შეღებილი კედლებით, იატაკზე დევს ტყავის ერთი მყარი მატრასი, ოთახს აქვს მცირე ზომის სარკმელი, რომელიც არ იღება. ოთახში უჰაერობაა თუ არ ჩავრთავთ ხელოვნურ ვენტილაციას. ასევე, უნიტაზი დამონტაჟებულია ვიდეოკამერის ხედვის არეალში.

¹⁰ დეესკალაციის ოთახში ადგილი აქვს თვითდაზიანების შემთხვევებს.

¹¹დე-ესკალაციის ტექნიკა შეიძლება მოიცავდეს პოტენციური კრიზისის დაუყოვნებელ შეფასებას და სწრაფ ჩარევას; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტაციას; ემპათიურობასა და დარწმუნებას (ეჭვებისა და შიშის გაფანტვას); სტრესის მართვის ან რელაქსაციის მეთოდებს, როგორცაა სუნთქვითი ვარჯიშები, პირისთვის სივრცის გამოყოფა, არჩევანის შეთავაზება, ფიქრისთვის დროის მიცემა და ა.შ.

ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად მოთავსება და სათანადო ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობა არღვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 მუხლის მოთხოვნებს¹² და წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.¹³

სახალხო დამცველი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების მოთავსება უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი ზომა და ამ ღონისძიების გამოყენებამდე, უსაფრთხოების მიზნის მისაღწევად, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შეზღუდვადი საშუალებები, როგორც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საშუალებები არასაკმარისია, დეესკალაციის ოთახში გადაყვანა უნდა გამოიყენებოდეს როგორც იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს და პარალელურად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციენტის მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) მიერ ადეკვატური დახმარების გაწევა. ხოლო, თუ დეესკალაციის ოთახში 24 საათით მოთავსება და მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა არასაკმარისი იქნება ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის უსაფრთხოების დაცვის მიზნის მისაღწევად, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მისი გადაყვანა N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის/სამართლო საკანში მოთავსების შესახებ ბრძანებაში მითითებულია დებულებით განსაზღვრული საფუძველი (საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკი), პაციენტების განცხადებით, ამ საკნებში მათი მოთავსება რეალურად ხორციელდება აღნიშნული საფუძვლების არსებობის გარეშე. კერძოდ, გამოკითხული პაციენტების განცხადებით, მითითებულ საკნებში მოთავსების რეალურ მიზეზს სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება წარმოადგენს და არა დებულებით განსაზღვრული საფუძვლები.

დეესკალაციის ოთახის დასჯის მიზნით გამოყენება

წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში სერიოზული შეშფოთება გამოხატა დეესკალაციის ოთახის გამოყენების

¹² შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, „არავინ არ უნდა გახდეს წამების, სასტიკი, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის მსხვერპლი.“

¹³ საქმეზე კუჩერუკი უკრაინის წინააღმდეგ (Kucheruk v. Ukraine)(no. 2570/04) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პაციენტის განმარტოებით და ხელბორკილებით ხანგრძლივი და განმეორებითი მოთავსება იმის გამო, რომ დაწესებულებას არ გააჩნდა საკმარისი რესურსი პაციენტის ქცევის სამართავად და ფსიქიატრიული დახმარების მისაწოდებლად, მიიჩნია ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევად. პარ. 131.

პრაქტიკასთან დაკავშირებით. კომიტეტმა დეესკალაციის ოთახების 72 საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა შეაფასა, როგორც დე ფაქტო დასჯა. ამასთანავე, კომიტეტმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი გამოკითხული პაციმრისთვის დეესკალაციის ოთახში მოთავსება აღიქმებოდა, როგორც მათ მიერ გამოვლენილი რთული ქცევის საპასუხო სასჯელი.¹⁴

მიუხედავად იმისა, რომ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ ბრძანებაში მითითებულია დებულებით განსაზღვრული საფუძველი (საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკი), სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხული პაციმრების განცხადებით, დეესკალაციის ოთახებში მათი მოთავსება რეალურად ხორციელდება აღნიშნული საფუძველების არსებობის გარეშე. კერძოდ, მათი განცხადებით, მითითებულ საკნებში მოთავსების რეალურ მიზეზს დაწესებულების ადმინისტრაციის მიმართ კუთვნილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო პროტესტის გამოხატვა, სარეჟიმო მოთხოვნების დარღვევა და დაწესებულების თანამშრომლებისთვის სიტყვიერი შელაპარაკება წარმოადგენს და არა დებულებით განსაზღვრული საფუძველები. აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის საკნებში პაციმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ამ ოთახებში მოთავსებული პაციმრების ტანსაცმელი ინახება დაწესებულების თანამშრომლებთან და პაციმრებს საკუთარ ტანსაცმელზე წვდომა შეზღუდული აქვთ. დეესკალაციის ოთახებში ყოფნის დროს, პაციმრებს უმეტესად არ ეძლევათ შხაპის მიღების და გასეირნების საშუალება; მათ შეზღუდული აქვთ მაღახიით სარგებლობის, სატელეფონო ზარით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლება.¹⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, პაციმრები დეესკალაციის ოთახში მოთავსებას დასჯად აღიქვამენ.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახში პაციმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსება წარმოადგენს უალტერნატივო ღონისძიებას. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა
- დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოფხვრება დეესკალაციის ოთახში

¹⁴ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < <https://rm.coe.int/1680945eca> > [ბოლოს ნანახია: 03.11.20].

¹⁵ დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახიდან გამოყვანა მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსების საფუძველების აღმოფხვრამდე, გარდა გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევისა და დამცველთან/ადვოკატთან შეხვედრის შემთხვევებისა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 26 (7).

მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ იქნას გადაყვანილი N18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად

- დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად
- დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარების გზით:
 - უზრუნველყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
 - უზრუნველყოს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მომხდარი თითოეული ინციდენტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი პრევენციის კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

3.2 მსჯავრდებულთა იზოლაცია

დაწესებულებაში ასევე გაზრდილია საკანში მარტო განთავსებული პატიმრების რაოდენობა. ვიზიტის დროისთვის დაწესებულებაში საკანში მარტო განთავსებული იყო 34 პატიმარი, მაშინ როდესაც 2019 წლის 16-17 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტისას ეს რიცხი შეადგენდა 27-ს. დაწესებულებაში ისევ აქვს ადგილი პატიმრების თვეებისა და წლების განმავლობაში მარტო მოთავსებას. მაგალითად, ერთ შემთხვევაში პატიმარი საკანში მარტო იყო განთავსებული 2018 წლის 22 მარტიდან, ხოლო ორ შემთხვევაში 2018 წლის 18 აგვისტოდან მოყოლებული და მათი საკანში მარტო ყოფნა გრძელდებოდა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის პერიოდშიც. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პატიმრების იზოლაციის საკითხს, რადგანაც ამ ღონისძიებას შეუძლია უკიდურესად დააზიანოს ადამიანის ფსიქიკური, სომატური თუ სოციალური კეთილდღეობა. ეს ზიანი შეიძლება დადგეს დაუყოვნებლივ და გაიზარდოს, რაც

უფრო ხანგრძლივი და განუსაზღვრელი ვადით არის პატიმარი იზოლირებული¹⁶.

პატიმრების თვეებისა და წლების განმავლობაში იზოლაციის პირობებში ყოფნა პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და სახალხო დამცველის შეფასებით წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას. სახალხო დამცველის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომლითაც მოითხოვდა პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადის განსაზღვრას ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულების გაწერას, განცალკევების ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით¹⁷. დასაძინა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია შეუსრულებელია.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებებში ცვლილებების შეტანის გზით განისაზღვროს პატიმრების განცალკევების მაქსიმალური ვადა, ასევე, განცალკევების ღონისძიების გადასინჯვის ვალდებულება, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით

3.3 განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში არსებული რეჟიმი და შეზღუდვები, როგორც არასათანადო მოპყრობა

2020 წელსაც არ შეცვლილა N3 დაწესებულებაში არსებული გარემო და რეჟიმი. დაწესებულების მართვა ისევ ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს და გულისხმობს მაქსიმალურ შეზღუდვებს, აკრძალვებსა და უპირობოდ მკაცრ რეჟიმს, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით ხელს უშლის მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებასა და რეაბილიტაციას. დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები 23 საათს¹⁸ ატარებენ საკნებში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან მაღალი, ბეტონის კედლებით ამოშენებულ სასეირნო ეზოში, სადაც დამთრგუნველი გარემოა. სასეირნო ეზოებში მინიმალურადაა წარმოდგენილი სავარჯიშო ინვენტარი¹⁹.

პატიმრების შემზღუდველ რეჟიმში ყოფნას ემატება ისიც, რომ მსჯავრდებულებს, რომლებსაც დადგენილი აქვთ საშიშროების მაღალი რისკის კანონმდებლობით მეტად აქვთ შეზღუდული გარე სამყაროსთან ურთიერთობა.²⁰ განსაკუთრებული პირობების დაწესების შედეგად გარე

¹⁶ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 53 et seq. 8 solitary confinement.

¹⁷ პრევენციის ეროვნული მექანიზმი N3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 15, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020032321170591389.pdf> [ბოლოს ნანახია:24.07.20].

¹⁸ დაწესებულებაში ისევ მძიმე მდგომარეობაა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით, არ ხდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება.

¹⁹ ყველა სასეირნო ოთახში არის ორძელი, ერთ ოთახში ასევე არის ტრენაჟორი.

²⁰ ასე მაგალითად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულები სარგებლობენ უფრო ნაკლები რაოდენობის პაემნებით (ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნები), სატელეფონო საუბრებით, სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, მათ არა აქვთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება. იხ. პატიმრობის კოდექსი.

სამყაროსთან ფიზიკური კონტაქტის შეზღუდვა კიდევ უფრო მძიმედ აისახა განსაკუთრებული რისკი დაწესებულებაში მოთავსებულ პაციმრებზე. მართალია, ამ შეზღუდვის საკომპენსაციოდ, მსჯავრდებულებს არსებულ სატელეფონო ლიმიტზე დაუმატეს უფასო 15 წუთი, რომელიც პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, ყოველთვიურად საჩუქრად გადაეცემოდათ პაციმრებს და ასევე წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა უზრუნველყო თითოეულ პაციმარზე ერთჯერადად 20 წუთის ხანგრძლივობის სასაუბრო დროის დარიცხვა, არ გადადგმოლა ნაბიჯები მათი მდგომარეობის არსებითად შესამსუბუქებლად. გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით მდგომარეობა განსაკუთრებით რთულია იმ პაციმრებისთვის, რომელთა ოჯახის წევრებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ და შორი მანძილის და დამატებითი ხარჯების გამო უჭირთ პაციმართა მონახულება.²¹

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის 2020 წელს არ გაზრდილა პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა²². ამასთანავე, მათ არა აქვთ ვიდეოპაემნებით სარგებლობის უფლება. სამწუხაროა, რომ განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, როდესაც შეზღუდული იყო პაემანი, დაწესებულებაში მაინც გამოიყენებოდა გარკვეულ შემთხვევებში დისციპლინური სახდელის სახით ტელეფონით სარგებლობისა და პირადი სახის კორესპოდენციის აკრძალვა. არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომელიც სატელეფონო კაბინების დამატებითი საიზოლაციო საშუალებებით ისეთ აღჭურვას გულისხმობდა, რომ მსჯავრდებულების საუბრის კონფიდენციალურობა სრულად ყოფილიყო დაცული.

დაწესებულებაში მოთავსებულ პაციმართა იზოლაციის, გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ნაკლებობის და მათ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს პაციმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში პაციმართა პროტესტის, თვითდაზიანებისა და კონფლიქტების ერთ-ერთი მაპროვიცირებელი ფაქტორი ხდება.

²¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმი N3 დაწესებულების მონიტორინგის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, გვ. 20-23 ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020032321170591389.pdf> (ბოლოს ნანახია:26.08.20).

²² პაციმრებს, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი უფლება აქვთ: 1 თვის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი; 1 წლის განმავლობაში ჰქონდეთ 1 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; 1 თვის განმავლობაში უფლება აქვთ საკუთარი ხარჯით ჰქონდეთ 2 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – 1 სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა, საქართველოს პაციმრობის კოდექსი, მუხლი 66³ (ბ, ბ¹, გ) პუნქტები.

წინადადება საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზარდოს პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და გაუქმდეს ოჯახთან კონტაქტის რაიმე სახით შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა

4. პატიმრობის პირობები

4.1 ფიზიკური გარემო

დაწესებულების საცხოვრებელი საკნები

სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების მიუხედავად, 2020 წელს, დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში სათანადო ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების უზრუნველყოფა კვლავ გამოწვევად რჩება. ამასთანავე, არ მიღებულა ზომები საცხოვრებელი საკნების სათანადო ინვენტარით უზრუნველსაყოფად. კერძოდ, საკნები აღჭურვილია მცირე ზომის კარადებით, რის გამოც პატიმრებს პირადი მოხმარების ნივთები განთავსებული აქვთ საწოლზე ან იატაკზე.

დეესკალაციის ოთახები და სამარტოო საკნები

სპეციალური პრევენციული ჯგუფი დადებითად აფასებს 2020 წლის განმავლობაში სამარტოო საკნებში განახლებითი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას²³. რაც შეეხება დეესკალაციის²⁴ ოთახებს, 2019 წლის ბოლოს, დეესკალაციის ოთახებში იატაკზე დადებული ტყავის მყარი მატრასები, სადაც პატიმრებს წლების განმავლობაში უწევდათ წოლა ჩანაცვლდა ბეტონით ამოშენებული საწოლებით, ხოლო მატრასი იატაკის ნაცვლად განთავსდა საწოლზე. დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერები

²³ერთ შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება გამოიყენება როგორც უსაფრთხოების ღონისძიება, სადაც პატიმარი შესაძლებელია მოთავსდეს არაუმეტეს 24 საათისა, ხოლო მეორე შემთხვევაში სამარტოო საკანში მოთავსება ხდება, როგორც დისციპლინური სახდელი 14 დღემდე ვადით.

²⁴ დეესკალაციის ოთახში მოთავსება გამოიყენება, როგორც უსაფრთხოების ღონისძიება, ადაც პატიმარი შესაძლებელია განთავსდეს არაუმეტეს 72 საათისა.

კვლავ დამონტაჟებული იყო საპირფარეშოს თავზე, რაც არ გამოირიცხავს საპირფარეშოს თვალთვალის არეალში მოქცევას.

რეკომენდაცია N3 დაწესებულების დირექტორს:

- მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ბუნებრივი ვენტილაციისა და განათების უზრუნველსაყოფად
- მიიღოს ყველა საჭირო ზომა პატიმრების პირადი ნივთების შესანახი სათანადო ზომის კარადებით საცხოვრებელი საკნების აღსაჭურვად
- სამარტოო საკნებსა და დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერები დამონტაჟდეს იმგვარად, რომ იქ არსებული საპირფარეშოები არ ხვდებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის არეში

4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

დაწესებულებაში რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კუთხით კვლავ მძიმე მდგომარეობაა. კვლავ არ ხდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა და რაიმე სახის სარეაბილიტაციო აქტივობების განხორციელება. დაწესებულებას ჰყავს 2 სოციალური მუშაკი, რომლებიც განათავსეს დაწესებულების გარე პერიმეტრზე და შესაბამისად, ისინი შიდა პერიმეტრზე დროებით არ დაიშვებიან.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დროს უცვლელი იყო სასეირნო ეზოებში არსებული მდგომარეობა. სიახლეს წარმოადგენდა ერთ სასეირნო ეზოში მოწყობილი პატარა ჩოგბურთის მაგიდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია პატიმრების დღის განმავლობაში 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნასთან დაკავშირებით.²⁵

გამოკითხულ პატიმრების განცხადებით, სარეაბილიტაციო პროგრამებში თვითონ ჩართულები არ ყოფილან, თუმცა უმრავლესობა აცხადებს, რომ სიამოვნებით ჩაერთვება არსებობის შემთხვევაში. მსჯავრდებულებისთვის ერთადერთი თავშესაქცევი ტელევიზორი, რადიო და წიგნებია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პატიმრებს, ვისაც არა აქვთ ფინანსური საშუალება, არც ტელევიზორზე მიუწვდებათ ხელი. დაწესებულების ბიბლიოთეკით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ საკანში გამოწერის წესით. დაწესებულებაში ჟურნალ–გაზეთების სათანადო პერიოდულობით განახლება კვლავ არ ხდება.

²⁵ „N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრებს აწუხებთ ტკივილი წელის არეში (რასაც „ნარის სიმპტომს“ უწოდებენ), რაც განპირობებულია უმოძრაობით და მცირე ფართის საწოლზე²⁵ ერთ პოზაში წოლით; ასევე აქვთ კუჭ–ნაწლავის დაავადებები, გამოწვეული უმოძრაობით, კვების და ძილის რეჟიმის დარღვევით; ხშირია თავის ტკივილები, რასაც სამედიცინო პერსონალი საკანში უჭაერობას/ჟანგბადის ნაკლებობას უკავშირებს; პერსონალი ასევე აცხადებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს აღენიშნებათ გამონაყარი, რომელსაც მედიკამენტურად ვერ მკურნალობენ და ვარაუდობენ, რომ ეს გამონაყარი გამოწვეულია საკანში არსებული პირობებითა და უჭაერობით.“ იხილეთ სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე < <https://drive.google.com/file/d/11H2Ywr72aNiTwurAjO3Q8fNiqCqj1JvW/view> > გვ. 102

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- N3 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა
- დაწესებულებაში გაიზარდოს სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვილი ეზოების რაოდენობა
- შემუშავდეს განსაკუთრებულ პირობებში სარეაბილიტაციო აქტივობების ჩატარების გეგმა, სადაც, inter alia, განხილულ იქნება ამ აქტივობების დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა
- უზრუნველყოს დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლება და ჟურნალ-გაზეთებით სათანადო პერიოდულობით მომარაგება

5. სამედიცინო მომსახურება

სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა

N3 დაწესებულებაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებას ემსახურება 1 მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი, 1 პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმი, 1 დღის ექთანი და 3 მორიგე ექთანი.²⁶ დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება მთავარი ექიმი, პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმი, 1 დღის ექთანი და 1 მორიგე ექთანი. დღის ექთანს ევალება მედიკამენტების დარიგება. არასამუშაო დროსა და დასვენების დღეებში კი დაწესებულებაში მხოლოდ 1 მორიგე ექთანი იმყოფება. დაწესებულების სამედიცინო პერსონალის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, მორიგე ექთანს შეუძლია დაუკავშირდეს მთავარ ექიმს და იგი მიიღებს გადაწყვეტილებას, კონკრეტულ სიტუაციაში როგორ იმოქმედონ. 2020 წლის 1 ივლისიდან დაწესებულებას აღარ ჰყავს სტომატოლოგი. გარდა ამისა დაწესებულებას ასევე არ ჰყავს სამედიცინო ნარჩენებსა და სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირი.

რაც შეეხება მოწვეულ ექიმ სპეციალისტებს, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის მარტის თვიდან, დაწესებულებაში შეიზღუდა მათი ვიზიტები. კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში პატიმარს არეგისტრირებენ ერთიან ელექტრონულ ბაზაში და რიგის მოსვლის შემდეგ გაჰყავთ სამოქალაქო სექტორის დაწესებულებაში.

ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით რამე დამატებითი ზომები დაწესებულებაში მყოფ ხანდაზმულ მსჯავრდებულებთან და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებთან, როგორც განსაკუთრებულ რისკ ჯგუფთან, მიმართებით არ მიუღიათ და ამ პირების

²⁶ ექთნები ყოველ მე-3 დღეს მორიგეობენ.

ჯანმრთელობის მდგომარეობის საგანგებო მონიტორინგი არ მიმდინარეობს.²⁷

სამედიცინო რეფერალი

ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებულებიდან შეზღუდული იყო სამოქალაქო სექტორის კლინიკებში გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება. გადაუდებელი რეფერალი კი შეუზღუდავად ხორციელდებოდა. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კონსულტაციების მიზნით, უმეტესად „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ გადაჰყავთ და საჭიროების შემთხვევაში ერთდროულად რამდენიმე კონსულტაციას ან/და გამოკვლევას უტარებენ. დადებითად უნდა აღინიშნოს გეგმიური სამედიცინო რეფერალის აღდგენა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს გეგმიურ სტაციონარულ რეფერალს 5, ხოლო გეგმიურ ამბულატორიულ რეფერალს 20 პაციმარი ელოდა.²⁸

წამლების სამარაგო

N3 დაწესებულებაში 2020 წლის მარტის თვიდან დაწესებულებას აღარ ჰყავს წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისთვის წამლების სამარაგოში მიმდინარეობდა მედიკამენტების აღრიცხვა და ფინანსური ანალიზი, რომელსაც სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომელი და ერთ-ერთი დაწესებულების წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებდა. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, ფარმაცევტის ვაკანსია გამოცხადებულია და უახლოეს მომავალში ელიან ამ ვაკანსიის შევსებას. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, ამ პერიოდში მედიკამენტების მომარაგების კუთხით პრობლემები არ ჰქონიათ.

ფსიქიატრიული დახმარება

დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების ნაწილი ფსიქოტროპულ მედიკამენტებს იღებს. დაწესებულებაში ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტების შეზღუდვის დროიდან შეიზღუდა ფსიქიატრის ვიზიტებიც. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ივნისის ბოლოს N18 დაწესებულების ფსიქიატრის მიერ ჩატარდა კონსულტაციები, კონსულტაცია ჩაუტარდა 27 პაციმარს, რომელთაგან 22-ს მედიკამენტური მკურნალობა დაენიშნა. დაწესებულებაში შეჩერებულია სუიციდის პრევენციის პროგრამაც, რადგან ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის ვიზიტები ვერ ხორციელდება.

²⁷ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტები. იხ. ბმული <<https://bit.ly/3idzXmd>> ბოლოს ნანახია: 21.07.2020.

²⁸ მათ შორის იყვნენ პაციმრები, რომლებიც გეგმიურ ამბულატორიულ რეფერალს თებერვლიდან და მარტიდან ელოდნენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე პენიტენციურ დაწესებულებებში არიან გადაყვანილი.

რეკომენდაციები საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს დაწესებულებაში წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა
- უზრუნველყოს დაწესებულებაში სამედიცინო ნარჩნებსა და სტერილიზაციაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა
- უზრუნველყოს დაწესებულებაში სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდება
- ქვეყანაში არსებული კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს დაწესებულებებში ექიმ სპეციალისტების ვიზიტების განახლება
- უზრუნველყოს დაწესებულებაში სუიციდის პრევენციის პროგრამის აღდგენა.